ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3412802

ნომერი: AR1518835

თარიღი : 13.07.2017

გაცემის თარიღი : 21.07.2017

გაცნობის თარიღი : 21.07.2017

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ლორთქიფანიძის ქ. #19ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ დემეტრაძე პ/ნ 01010006142
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 15 ბ. 53

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს #261 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 13 ივლისის #AR1518835 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ. #19ა-ს მიმდებარედ საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობითი

ნებართვის გაცემას გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ ღია სეზონური კაფეს მოწყობა იგეგმება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, შესაბამისად დამატებით წარმოსადგენია თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ან იჯარის წესით მიწის აღების დამადასტურებელი დოკუმენტი; სამსახური გასცემს აღნიშნულ ნებართვას მხოლოდ იმ პირობით, რომ ორი თვის განმავლობაში თქვენს მიერ დამატებით იქნება წარმოდგენილი ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია; მოთხოვნილი დოკუმენტი უნდა აიტვირთოს ამავე განაცხადზე დამატებითი დოკუმენტის ველში. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-6 პუნქტის და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის (საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებობის დემონტაჟი (დაშლა/დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე, ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა) შესაბამისად გეძლევათ ნებართვა ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ. #19ა-ს მიმდებარედ დროებითი სტატუსის მქონე საზაფხულო კაფეს მოსაწყობად წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად 2017 წლის 21 სექტემბრამდე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.